



1471/3-106/22 2 17022022

1471/3-106/22

17-02-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

2021 წლის აპრილში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის 2 თანამშრომელი. ფაქტი ეხებოდა ხსენებული დანაყოფის თანამშრომელთა მხრიდან სხვა ჯარისკაცების თანდასწრებით, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ კანონით აკრძალული დასჯის მეთოდების გამოყენებას, რომლითაც შელახეს სამხედრო მოსამსახურეთა პირადი ღირსება და არსებითად დაარღვიეს მათი უფლებები.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა სახის ღონისძიებები ტარდება თქვენდამი დაქვემდებარებულ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ობიექტებზე მომსახურე პერსონალის მიმართ, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალში მსგავსი ფაქტების განმეორების საფრთხე.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
ვლადიმერ ჩაჩიბაია



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 7 22 00808327



29/03/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ვლადიმერ ჩაჩიბაიას

ბატონო ვლადიმერ,

2022 წლის №1471/3-106/22 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) ობიექტების დაცვისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ვადიან სამხედრო მოსამსახურეებთან ურთიერთობის საკითხებს. ინტენსიურად აკვირდება დანაყოფებში მათ ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს და ნებისმიერი საყურადღებო ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მიმართავს კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

ამასთან, სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ფსიქოლოგი პრევენციის მიზნით სისტემატიურად მუშაობს თანამშრომლებთან და სამხედრო მოსამსახურეებთან. სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილი პირების მიერ პერიოდულად ხორციელდება ობიექტებისა და პერსონალის მონიტორინგი. ასევე, სისტემატიურად უტარდება ინსტრუქტაჟი ზემოაღნიშნული დეპარტამენტის მოსამსახურეებს. აგრეთვე, პერიოდულად მიმდინარეობს მოსამსახურეთა როტაცია, რაც ხელს უწყობს კანონსაწინააღმდეგო ფაქტების გამოვლენას და აღმოფხვრას.

პატივისცემით,



შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
ალექსანდრე დარახველიძე

